

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (8)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის აგვისტოს თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 001 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.5% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.5% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.914 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. აგვისტო თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (5.5%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (40.7%-ით) შედარებით.

2016 წლის აგვისტოს თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 4.7%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 25.0%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 37.9%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 150.0%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.899 და 1.417 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. აგვისტოს თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 049 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 51.2%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 696 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 42.4%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 93.6% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 180 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 50 კოოპერატივი, 20 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 6 სააქციო საზოგადოება.

ა. წ. აგვისტოს თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... აგვისტო, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... აგვისტო, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
აგვისტო, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	აგვისტო	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	2771	3821
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	72	180
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	2843	4001
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.5	95.5
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.5	4.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-31.8	4.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-36.8	25.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-32.0	5.5
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-7.9	37.9
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-1.4	150.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-7.8	40.7
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.652	0.899
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.567	1.417
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.650	0.914
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1432	2049
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	71	50
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1245	1696
სააქციო საზოგადოება	ერთეული	10	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	1	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	12	20
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	72	180
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. აგვისტო, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		აგვისტო 2016	აგვისტო 2015	ივლისი 2016
1	თბილისი	1507	33.1	2.2
2	ქუთაისი	236	55.3	29.0
3	ბათუმი	210	12.3	-4.1
4	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	126	152.0	-0.8
5	რუსთავი	80	-2.4	-9.1
6	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	73	87.2	28.1
7	მარნეულის მუნიციპალიტეტი	61	38.6	0.0
8	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	59	103.4	-23.4
9	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	57	67.6	54.1
10	საჩხერის მუნიციპალიტეტი	48	45.5	37.1

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

